პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---სექტემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ე.წ. თბილისი არენასთვის ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ე.წ. თბილისი არენას მიენიჭოს ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია
0162 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 49ა
ტელ: (+995 32) 2 23 53 84
ფაქსი: (+995 52) 2 29 28 90
ელ-ფოსტა: basket@top.ge
www.gbf.ge

GEORGIAN BASKETBALL NATIONAL FEDERATION
49a Chavchavadze Ave, Tbilisi 0162
Tel: (+995 32) 2 23 53 84
Fax: (+995 52) 2 29 28 90
E-mail: basket@top.ge
www.gbf.ge

№ 434

20 07 2023 წ.

საქართველოს კულტურის, სპორტისა

და ახალგაზრდობის მინისტრს

ქალბატონ თეა წულუკიანს

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია გთხოვთ განიხილოთ, რომ ახალ აშენებულ სპორტის სასახლეს დაერქვას გამოჩენილი ქართველი კალათბურთელების - ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯოჯიკიას სახელები მათი 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

ოთარ ქორქია - 1947-1955 წლებში შედიოდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში, იყო მისი ლიდერი და კაპიტანი. ევროპის ჩემპიონატების ოთხი მედლის მფლობელი (სამი ოქროსი - 1947, 1951, 1953 და ბრინჯაოსი - 1955), ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი (1952). სსრკ სამგზის ჩემპიონი (1950, 1953, 1954), სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1948, 1952), მსოფლიო სტუდენტურ თამაშებში გამარჯვებული (1949, 1951), თბილისის დინამოს უფროსი მწვრთნელი, რომელმაც მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. მინიჭებული აქვს სპორტის დამსახურებული ოსტატის (1950), სსრკ დამსახურებული მწვრთნელის (1967), საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

დაჯილდოებულია ლენინის, ვახტანგ გორგასლის (III ხარისხის) და ღირსების ორდენებით.

აღსანიშნავია, რომ ოთარ ქორქია დასახელებული იყო მე-20 საუკუნის საუკეთესო საბჭოთა კალათბურთელად.

ნოდარ ჯორჯიკია - 1943-1949 წლებში გამოდიოდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში, ხოლო 1950-1956 წლებში - თბილისი დინამოში. ამ გუნდების შემადგენლობაში ორჯერ (1944, 1946), თბილისის ოფიცერთა სახლის სახელით, ხოლო სამჯერ (1950, 1953, 1954) თბილისი დინამოს შემადგენლობაში იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ორგზის (1950, 1951) სსრკ თასის მფლობელი. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში (1947-1953) მოპოვებული აქვს ევროპის ჩემპიონატის ოქროს (1947), ოლიმპიური თამაშების ვერცხლის (1952) და მსოფლიო სტუდენტური თამაშების ოქროს (1949) მედლები.

დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის, საპატიო ნიშნის, ვახტანგ გორგასლის (III ხარისხი) და ღირსების ორდენებით.

სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა 1952 წელს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ მათი დამსახურებები ქვეყნის წინაშე, ასევე ამ ორი სახელოვანი პიროვნების 100 წლის იუბილე და მიანიჭოთ მათი სახელები ახალ აშენებულ სპორტის სასახლეს.

პატივისცემით,

პრეზიდენტი ვიქტორ სანიკიძე

შ.პ.ს. სპორტმშენსერვისი

17/09/2024

№ 00032514

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო საწარმო შპს „სპორტმშენსერვისი", ქ. თბილისში, მისამართზე უნივერსიტეტის ქუჩა N15ა (მიწის საკადასტრო კოდი: 01.14.04.030,044), საკუთრებაში ფლობს სპორტულ კომლექსებს „თბილისი არენა" და „ოლიმპიური სასახლე".

მიმდინარე წლის 17 სექტემბერს, შპს „სპორტმშენსერვისს" წელობით მომართა საწარმოს კაპიტალში 100 % წილის მმართველმა, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და ითხოვა შესაბამისი პროცედურების დაწყება, რათა „თბილისი არენას" ეწოდოს „ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლე", ხოლო თბილისის ოლიმპიურ სასახლეს კი ეწოდოს „დავით ციმაკურიძის სახელობის ოლიმპიური სასახლე". სამინისტროს მიერ ასევე გადმოგზავნილია საკითხის ინიციატორთა განცხადებები, რომელთა ასლებს თან ვურთავთ წინამდებარე წერილს.

შპს „სპორტმშენსერვისი" უერთდება სამინისტროსა და ინიციატოორთა მიერ დასმულ საკითხს, სრულ მზაობას და თანხმობას აცხადებს მიენიჭოს მოხსენიებულ სპორტულ კომლექსებს გამორჩეული და ტიტულოვანი ქართველი სპორტსმენების სახელები.

ამრიგად, მოგმართავთ თხოვნით ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განახორციელოს შესაბამისი პროცედურები, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.
(საკონტაქტო პირის მობ: 574 99 00 55)

პატივისცემით,

შპს "სპორტმშენსერვისი"
დირექტორი
ცინდელიანი გერონტი

ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N15ა
Tbilisi, Georgia, University str. N15a
☎ 0322 72 88 07
sportmshenservice@gmail.com
www.smsorg.ge

კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

სანაპიროს ქუჩა N4
0105 თბილისი, საქართველო
+995 32 202 22 29
info@culture.gov.ge

17/09/2024

№ 00032436

შპს „სპორტმშენსერვისის“ დირექტორს,
ბატონ გერონტი ცინდელიანს,

ბატონო გერონტი,

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (დღეს კულტურისა და სპორტის სამინისტროს) 2023 წლის 20 ივლისს, N25531 წერილით მომართა საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ და ითხოვა, უნივერსიტეტის ქუჩაზე აშენებულ ახალ სპორტის სასახლეს, „თბილისი არენას“ ეწოდოს გამორჩეული ქართველი კალათბურთელების, ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას სახელი.
ასევე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 01.09.2023 წლის N30894 წერილით მომართა მოქალაქე დავით ციმაკურიძემ და ითხოვა, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ „ოლიმპიურ სასახლეს“ ეწოდოს პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის, დავით ციმაკურიძის სახელი.
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ აღნიშნული საკითხი და დაიწყოთ შესაბამისი პროცედურები, რათა „თბილისი არენას“ ეწოდოს „ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლე“; თბილისის ოლიმპიურ სასახლეს კი ეწოდოს „დავით ციმაკურიძის სახელობის ოლიმპიური სასახლე“.

პატივისცემით,

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის პირველი მოადგილე
იოსებ ბაღათურია

ზზსზვდსსზეიია

ოთარ ქორქია

(1923-2005)

კალათურთელი, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის და ღირსების ორდენის კავალერი.

დაიბადა 1923 წელს ქუთაისში. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი 1961 წელს. იყო თბილისის „დინამოსა“ და სსრკ ნაკრების წევრი; 1953-1955 წწ. ნაკრების კაპიტანი;

1962 წლის 29 ივნისს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ჯილდო - ჩემპიონთა თასი მოიგეს. შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გამართულ ფინალში დინამოელებმა მადრიდის „რეალს“ სძლიეს. „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ქართული კალათბურთის ლეგენდა ოთარ ქორქია გახლდათ.

მუშაობდა თბილისის „დინამოს“ უფროს მწვრთნელად; მისი ხელმძღვანელობით გუნდმა მიაღწია თავის ისტორიაში უდიდეს წარმატებას - დაეუფლა ევროპის ჩემპიონთა თასს (1962); ქართული საკალათბურთო სკოლის ყველა დროის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი; კალათბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ მოწყობილ რეფერენდუმში XX საუკუნის საუკეთესო ქართველ კალათბურთელად აღიარეს;

დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის III ხარისხის და ღირსების ორდენებით,

ნოდარ ჯორჯიკია

(1921-2008)

კალათბურთელი. სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი

დაიბადა ქუთაისში 1921 წელს. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1944–1949 წლებში თამაშობდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში და თბილისის „დინამოში" (1950–1955), იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი (1947-1952). იყო 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (1947), მსოფლიოს სტუდენტურ თამაშებში გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი. მეორე და მესამე პრიზიორი. საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელი და ფინალისტი, 1954 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე.

გარდაიცვალა 2008 წელს.